



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 41

2016 წლის 16 მაისი



ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2016 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №140 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის და სპორტული ინვენტარის (გასაყინი, ჩუჩელა) შეძენის, აგრეთვე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზების მიზნით, საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №140 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსის 2016 წლის №2122/09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2016 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №140 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები: კერძოდ, პროგრამის №1 დანართი – სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა 2016 წელში და №2 დანართი – „კულტურის სფეროში განსახორციელებელი პროგრამები“ ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი №1 თან ერთვის ცხრა ფურცლად, დანართი №2 – სამ ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ.#15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

## სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა

სპორტული ღონისძიებები ჩატარდება სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.)

### პროგრამის მიზანი

სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, საერთაშორისო და საქართველოს ჩემპიონატებში წარმატებული სპორტსმენების წახალისება.

### პროგრამის ძირითადი ღონისძიებები

\_ მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში პირველობებსა და ჩემპიონატებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის მიღება.

\_ მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

\_ რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება.

\_ სასწავლო საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწყობა.

\_ სპორტსმენთა წახალისება (დახმარება).

\_ სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა.

### პროგრამის ხანგრძლივობა.

პროგრამის მოქმედების ვადაა 2016 წლის 1 იანვრიდან --- 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### პროგრამის ბიუჯეტი.

განისაზღვროს სპორტულ ღონისძიებათა პროგრამების 2016 წლის ასიგნებები 197 886 ლარით.

### პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

\_ სპორტული გუნდებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

\_ სპორტსმენთა შემდგომი დაოსტატება.

\_ ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

\_ სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაცია.

პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა.

– პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას, ახალგაზრდა თაობის სწორ და ჯანსაღ განვითარებას, სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაციასა და პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმოჩენას.

**შეფასების ინდიკატორი:**

- პროგრამით გათვალისწინებულ დონისძიებებში მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობა;
- სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მიღწევების მქონე სპორტსმენთა რაოდენობა.

## კულტურის სფეროში განსახორციელებელი პროგრამები

### პროგრამის მიზანი:

სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა

### პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

• მარტს – დედის დღის, 9 აპრილს – ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის, 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 1 ივნისს – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის, ახალი წლის და სხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებები.

• სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება.

• ფართო მასებისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის ჩართვა ღონისძიებებში.

### პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ვადაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### პროგრამის ბიუჯეტი:

განისაზღვროს კულტურის პროგრამების 2016 წლის ასიგნებები 148 250 ლარით.

### პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დადებითი განწყობის შექმნა დღესასწაულების მიმართ.

უცხო ქვეყნებში ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მათი წარმომადგენლების ინტერესის ზრდა ქართული კულტურის მიმართ.

ქართული კულტურისა და მართმადიდებელი ტრადიციების გაღრმავება

### შეფასების ინდიკატორი:

ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;

კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;

კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

N	კულტურულ ღონისძიებათა დასახელება	თანხა (ლარი)
1	3-8 მარტს დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	1 500
2	ისრაელის ქ. რამლას მერის, სხვა ოფიციალური პირების და ბიზნესმენების სტუმრობა და ქ. რამლას და ქ. ხაშურს შორის დაძმობილების მემორანდუმის გაფორმება	10 150
3	9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა	300
4	9 მაისის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 71 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	1500
5	26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	4 800
6	ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა	4 500
7	სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება	4 000
8	ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება	4 000
9	1 ივნისს _ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	3 500
10	ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა	800
11	ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულის "ლესიაობის" ჩატარება_ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები	1 000
12	ლიტვაში, დაძმობილებულ ქალაქ რადვილისკში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა	600
13	ბელორუსიაში, დაძმობილებულ ქალაქ გორკში ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა	600
14	ლატვიაში, დაძმობილებულ ქალაქ ბაუსკაში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა	600
15	ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფრესკა“-ს წევრების ლატვიაში, ქალაქ ბაუსკაში ანსამბლ „ჟანდალის“ 30 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა	4500
16	პოლონეთი, დაძმობილებულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა	600

17	თეატრის დღეების ორგანიზება	7 000
18	ხაშურის თეატრის გასტროლების ორგანიზება	400
19	27 სექტემბერი აფხაზეთის დაცემის დღე	100
20	ფესტივალის „ხაშურის – „ოქროს შემოდგომა 2015“ ჩატარების ორგანიზება	30 000
21	ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	1000
22	შეხვედრა წარმატებულ ხაშურელებთან და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია	2 500
23	კინო-ჩვენების ლიცენზირებასთან დაკავშირებული ხარჯი	1 000
24	საბავშვო – გასართობი შოუ-კონცერტის მოწყობა	4 000
25	ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგებლების მონაწილეობით კონცერტის უზრუნველყოფა	5 000
26	2008 წლის 8 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის, ომის ხსოვნის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება	300
27	5 ოქტომბრის მასწავლებლის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ორგანიზება	1 200
28	17 ოქტომბრის ვეტერანთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება	100
29	შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება	30 000
30	ფესტივალ „არტ გენის“ ორგანიზება დაბა სურამში	12 500
31	სხვადასხვა ღონის კულტურული ღონისძიებების ჩატარება	10 200
	სულ	148 250

## ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა

### პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდულ ღონისძიებათა ორგანიზება.

### პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

- არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. (ტრენინგ-სემინარების, კონფერენციების, ფორუმების მოწყობა ახალგაზრდებისათვის აქტუალურ თემებზე).
- სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების დახმარება და ხელშეწყობა განათლების მიღებაში.
- ხელშეწყობა საერთაშორისო ურთიერთობის გასაღრმავებლად.
- ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
- ახალგაზრდების ნიჭის თვითრეალიზების ხელშეწყობა.
- ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერა.
- ახალგაზრდა თაობაში შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავება და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა.

### პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ვადაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### პროგრამის ბიუჯეტი:

განისაზღვროს ახალგაზრდული პროგრამების 2016 წლის ასიგნებები 20 000 ლარით.

### პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური გამოყენება;  
ახალგაზრდების სხვადასხვა ღონისძიებებსი ჩართვა.  
ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარება.

### შეფასების ინდიკატორი:

ახალგაზრდების ჩართულობით განხორციელებული პროექტების რაოდენობა;  
პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.

	ლონისძიებათა დასახელება	გამოსაყოფი თანხა
1	საჯარო სკოლებს შორის შემოქმედებით- ინტელექტუალური კონკურსის,, მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ გამარჯვებულთა დაჯილდოება	1500
2	ინტელექტუალური პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა	1500
3	პროექტ „ეტალონში“ მოსწავლე- ახალგაზრდობის მონაწილეობის უზრუნველყოფა და გამარჯვებულის დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით	4860
4	პროექტ „ჯანსაღი გარემო ჯანსაღი მომავლისათვის“ ფარგლებში დაგეგმილი ლონისძიებები (ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ლონისძიებები, მარათონი სირბილში, ქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და გამწვანების აქცია)	2000
5	2016 წელს 100% -იანი დაფინანსებით ჩარიცხული სტუდენტების დაჯილდოვების უზრუნველყოფა	2640
6	შშმ პირთა დღესთან დაკავშირებული ლონისძიების ორგანიზება შშმ ახალგაზრდებისათვის	3000
7	სხვადასხვა დონის ახალგაზრდული ლონისძიებები	4500
8	სულ	20 000 ლარი



ხაშურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის აღორძინებისა და  
განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

**პროგრამის მიზანი**

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდა ფეხბურთელთა საქართველოსა და რეგიონალური დონის შეჯიბრებაში მონაწილეობის მაქსიმალური მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა არსებული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „საქართველოს კანონი სპორტის შესახებ“

**პროგრამის არსი**

ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო თანხით პროგრამის დაფინანსებას.

**პროგრამის ხანგრძლივობა.**

პროგრამის მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 დეკემბრამდე

**პროგრამის ბიუჯეტი.**

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 19 078 ლარი, რაც მოიცავს მონაწილეთა შრომის ანაზღაურებას, ფეხბურთელებზე მოგებულ თამაშებზე გასაცემი პრემია, ინვენტარს, ფედერაციაში საწევრო შესატანს, სტადიონის კომუნალური მომსახურეობა, მედიკამენტებს, სამივლინებო ხარჯებს კალენდარულ თამაშებზე.

**პროგრამის სავარაუდო შედეგი.**

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ხაშურის ახალგაზრდა სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას და სპორტული გამოცდილების შეძენას, ახალგაზრდა თაობის სწორ და ჯანსაღ განვითარებას, ფეხბურთის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაციასა და პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმოჩენას.

პროგრამთ გათვალისწინებულ ღონისძიებათა ნუსხა და გრაფიკი

სპორტის სახეობა	ჩატარების ადგილი	ღონისძიების დასახელება	ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტი ს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
ქართული ჭიდაობა	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	საქართველოს ზონალური პირველობა	1750
		საქართველოს პირველობა	1000
		ტურნირები	3550
ძიუდო	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	საქართველოს ზონალური პირველობა	1350
		საქართველოს პირველობა	700
		საქართველოს სარეიტინგო ტურნირი	700
		ტურნირები	5500
	სატრენინგო პროგრამაში „ერთად აღვზარდოთ მომავალი თაობა“ მონაწილეობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯი	1000	
სამბო	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	საქართველოს პირველობა	1800
		ტურნირები	3650
ბერძნულ-რომაული	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	საქართველოს პირველობა	670
		ტურნირები	4940

თავისუფალი ჭიდაობა	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	საქართველოს პირველობა	3050
		ტურნირები	6700
ბატუტზე ხტომა	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	საქართველოს ჩემპიონატი	1150
ძალოსნობა	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	საქართველოს პირველობა	4170
ჩოგბურთი	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	ტურნირები	400
ჭადრაკი	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	რეგიონალური პირველობა	950
		საერთაშორისო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი“	1550
კალათბურთი	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	საქართველოს პირველობა	4010
		საქართველოს პირველობა მინი კალათბურთში	1500
		სასტარტო შესატანი	1 500
რაგბი	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	ასაკობრივი საფესტივალო შეჯიბრი	1200
		საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის „ა“ ლიგის პირველობა	5600
		საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის „ბ“ ლიგის პირველობა	11400
ფეხბურთი გოგონები (სხვადასხვა ასაკი)	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი მატჩი	საქართველოს პირველობა სხვადასხვა ტურნირები	4540



ფეხბურთის ფედერაციაში საწევრო შესატანი			500
ფეხბურთი (ვაჟები 2008 წ.)	საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში გასვლითი 13 მატჩი	საქართველოს პირველობა	2376
ფეხბურთის ფედერაციაში საწევრო შესატანი			250
ფეხბურთი (ვაჟები 2005 წ.)	ნოდარ ახალკაცის საერთაშორისო ტურნირი 4 თამაში		1329
ფეხბურთის ფედერაციაში საწევრო შესატანი			750
ფეხბურთი (ვაჟები 2006 წ.)	ნოდარ ახალკაცის საერთაშორისო ტურნირი 4 თამაში		1320
ფეხბურთის ფედერაციაში საწევრო შესატანი			750
ფეხბურთი (ვაჟები 2001, 2003, 2004, 2005 წწ.)	პლეი-ოფი საქართველოს მასშტაბით 6 მატჩი	საქართველოს პირველობის პლეი- ოფი	2376
ფეხბურთი (ვაჟები)	შიდა ქართლის რეგიონალური პირველობა 5 მატჩი	შიდა ქართლის რეგიონალური პირველობა	1620
შიდა ქართლის რეგიონალურ ფედერაციაში შესატანი ფედერაციაში საწევრო შესატანი			200
ფეხბურთი (ვაჟები)	შიდა ქართლის რეგიონალური პირველობა 5 მატჩი	შიდა ქართლის რეგიონალური პირველობა	1620
შიდა ქართლის რეგიონალურ ფედერაციაში შესატანი ფედერაციაში საწევრო შესატანი			200
მწვრთნელისა და წარმომადგენელის სამივლინებო ხარჯები			20 222
ხაშურის ძიუდოს ნაკრები გუნდის წევრის, წარმატებული სპორტსმენის გიორგი მეტრეველის მედიკამენტებით (ვიტამინი) უზრუნველყოფა			650
<b>სხვა დანარჩენი ადგილობრივი ტურნირები</b>			
ძიუდო	ხაშური	რამაზ ხარშილაძის ღია ტურნირი	
ძიუდო	ხაშური	26 მაისი ხაშური პირველობა	
თავისუფალი ჭიდაობა	ხაშური	ვახტანგ კვინიკაძის სახელობის ტურნირი	

ბ/რ ჭიდაობა	ხაშური	კოლია ხვედელიძის სახელობის ტურნირი	
სამბო	ხაშური	გელა ბარათაშვილის ღია ტურნირი	
სამბო	ხაშური	დავით დათიაშვილის სახელობის ტურნირი	
ქართული ჭიდაობა	ოსიაური	მუნიციპალიტეტის პირველობა	
ქართული ჭიდაობა	ფლევი	რამაზ ხარშილაძის ღია ტურნირი	
ქართული ჭიდაობა	ალი	ზურაბ ნოზაძის სახელობის ტურნირი	
ქართული ჭიდაობა	ვაყა	დავით მეტრეველის სახელობის ტურნირი	6000
ქართული ჭიდაობა	ვაყა	არჩილ მამულაშვილის სახელობის ტურნირი	
ჩოგბურთი	ხაშური	ხაშურის ღია პირველობა	
ჭადრაკი	ხაშური	მუნიციპალიტეტის პირველობა	
კალათბურთი	ხაშური	მერაბ ჩიტიაშვილის სახელობის ტურნირი	
კალათბურთი	ხაშური	26 მაისი სკოლების პირველობა	
ფეხბურთი	ხაშური	26 მაისი სკოლების პირველობა	
ფეხბურთი	ხაშური	სოფლის სკოლების მოსწავლეთა მუნიციპალიტეტის თასის გათამაშება	
ფეხბურთი	ხაშური	ხაშურის ღია ტურნირი გოგონებში	
ადგილობრივი ტურნირებისათვის საჭირო საორგანიზაციო ხარჯი			
სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეობის ხარჯები			1400
სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა			6750

<p>2015-2016 წლებში სპორტის სფეროში გამორჩეული მოღვაწეებისათვის და საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ ტურნირებში ხაშურის სახელით მოასპარეზე სპორტსმენების მიღწევებისათვის დაჯილდოვების ხარჯები:</p> <p>1) მსოფლიო ჩემპიონი --- 2000 ლარი;  II ადგილი --- 1500 ლარი;  III ადგილი --- 1000 ლარი;</p> <p>2) ევროპის ჩემპიონი ---1600 ლარი;  II ადგილი --- 1000 ლარი;  III ადგილი --- 800 ლარი;</p> <p>მწვრთნელს სპორტსმენზე გასაცემო თანხის 1/2;</p> <p>3) საქართველოს პირველობაზე I ადგილი --- 500 ლარი;</p> <p>მწვრთნელს სპორტსმენზე გასაცემო თანხის 1/3;</p> <p>ოლიმპიური და ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩემპიონებისა და პრიზიორების არსებობის, აგრეთვე საქართველოს მასშტაბით გუნდურ თამაშებში ჩემპიონობის შემთხვევაში ხაშურის მუნიციპალიტეტი განიხილავს ინდივიდუალურად</p>	10000
<p>დამსახურებულ მწვრთნელთა დაჯილდოვების ხარჯები</p>	5000

**სპორტული წრეების ფუნქციონირებისათვის და სპორტული  
ლონისძიებების ჩატარებისათვის საჭირო ინვენტარი**

სპორტის სახეობა	ინვენტარის დასახელება	რაოდენობა	საცალო ფასი (ლარი)	გამოსაყოფი თანხა
ძალოსნობა	ცარცი	2 ყუთი	60 ლარი	120 ლარი
ფეხბურთი	ბადეები	1 კომპლექტი (2 ბადე)	140 ლარი	280 ლარი
	ბურთი	80 ცალი	30 ლარი	2400 ლარი
კალათბურთი	ბურთი	15 ცალი	35 ლარი	525 ლარი
	ფორმა (მაისური, შორტი)	16 ცალი	25 ლარი	400 ლარი
რაგბი	ბურთი	30 ცალი	45 ლარი	1350 ლარი
	სანიშნი	100 ცალი	2 ლარი	200 ლარი
	სალიცენზიო ბარათი	81 ცალი	5 ლარი	405 ლარი
	ძელის შალითები	4 ცალი	170 ლარი	680 ლარი
	საკონტაქტო ბალიში	3 ცალი	150 ლარი	450 ლარი
	ფორმა „ა“ ლიგა (მაისური, შორტი, გეტრი)	25 ცალი	80 ლარი	2000 ლარი
	ფორმა „ბ“ ლიგა (მაისური, შორტი, გეტრი)	25 ცალი	80 ლარი	2000 ლარი
	ფორმა „ბ“ ლიგა (მაისური)	25 ცალი	45 ლარი	1125 ლარი
სპორტის ყველა სახეობა	გასაყინი	40 ცალი	10 ლარი	400 ლარი
თავისუფალი და ბ/რ ჭიდაობა	ფინკა	10 ცალი	35 ლარი	350 ლარი
ჭიდაობა ძიუდო	კიმონო	5 ცალი	70 ლარი	350 ლარი
ჭიდაობა სამბო	ჩოხა	5 ცალი	66 ლარი	330 ლარი
სხვადასხვა სახის ჭიდაობისათვის	სასწორი	2 ცალი	90 ლარი	180 ლარი
ჩოგბურთი	ბურთი	30 ცალი	5 ლარი	150 ლარი
ჭიდაობა	ჩუჩელა	2 ცალი	400 ლარი	800 ლარი
ჭადრაკი	დაფა	12 ცალი	30 ლარი	360 ლარი
				14 855 ლარი
<b>სულ 197 886</b>				



**ხაშურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის აღორძინებისა და განვითარების  
ხელშეწყობის პროგრამის ხარჯთაღრიცხვა**

№	დასახელება	პროგრამით გათვალისწინებული პერსონალის რიცხოვნობა	ანაზღაურება თვეში	ანაზღაურება სამ თვეზე
1	გუნდის უფროსი	1	230 ლარი	690 ლარი
2	მთ. მწვრთნელი	1	200 ლარი	600 ლარი
3	მწვრთნელი ფიზ. მომზადებაში	1	200 ლარი	600 ლარი
4	გუნდის ტექ. მუშაკი	1	140 ლარი	420 ლარი
5	ადმინისტრატორი	1	160 ლარი	480 ლარი
	<b>სულ</b>	<b>5</b>	<b>930 ლარი</b>	<b>2790 ლარი</b>

№	ღონისძიების დასახელება	რაოდენობა	სავარაუდო ხარჯი (ერთ თამაშზე)	ხარჯი (სულ)
1	საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ( გასვლითი მატჩები)			
	ტრანსპორტირება	3	200 ლარი	500 ლარი
	კვება	ერთი სპორტსმენი 12 ლარი  სპორტსმენთა რაოდენობა 18	სპორტ. 216 ლარი	648 ლარი
2	მწვრთნელის და წარმომადგენელის სამივლინებო ხარჯი			90
3	საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (საშინაო მატჩები)			
	ტრანსპორტირება	5	60 ლარი	300 ლარი
	ქ.ბორჯომში სტადიონის არენდა	5	100 ლარი	500 ლარი
			<b>სულ</b>	<b>2038 სულ</b>

### სპორტული ინვენტარი

№	ინვენტარის დასახელება	რაოდენობა	ფასი ერთეულის	საერთო ღირებულება
1	ბუცი	18 ცალი	135 ლარი	2430 ლარი
2	ფორმა	18 ცალი	60 ლარი	1080 ლარი
3	მეკარის ხელთათმანი	2 ცალი	120 ლარი	240 ლარი
4	ბურთი	10 ცალი	80 ლარი	800 ლარი
5	სპორტულები	25 ცალი	100 ლარი	2500 ლარი
6	მეკარის ფორმა	2 ცალი	100 ლარი	200 ლარი
<b>სულ</b>				<b>7250</b>

საწვრთნელი შეკრება 7000 ლარი

სულ 19 078 ლარი